ხელშეკრულება N 77

ქ. თბილისი 19 ივნისი, 2015

ერთის მხრივ, სს "ნენსკრა" წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თეიმურაზ კოპაძის სახით (შემდგომში „დამკვეთი")

და

მეორეს მხრივ, ა.ა.ი.პ – საქართველოს არქეოლოგიური ასოციაცია წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ლიჩელის სახით (შემდგომში „შემსრულებელი")

ხოლო ორივე ერთად წოდებული მხარეებად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის N 1280 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „დამკვეთი" უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას, რომ ნენსკრა ჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე განახორციელებს არქეოლოგიურ კვლევას (CPV 71351914).

1.2. „დამკვეთი" მოვალეა მიიღოს გაწეული მომსახურება და „შემსრულებელს" გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება.

2. ხელშეკრულების ფასი და ანაზღაურებების პირობები

2.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 35305,5 (ოცდათხუთმეტი ათას სამასხუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით (დანართი 1).

2.2. სახელშეკრულებო თანხის 30% ჩაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საველე სამუშაოების დასაწყებად, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.

2.3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ შემდეგ 10 დღის ვადაში.

2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშისწორების წესით, გადახდა განხორციელდება თანდართულ საბანკო რეკვიზიტებზე.

3. მხარეთა ურთიერთპასუხისმგებლობა

3.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხრეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

3.2. ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარე უნაზღაურებს მეორე მხარეს ამით მიყენებულ ზიანს.

3.3. ზიანის ანაზღაურება მხარეებს არ ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან.

3.4. სამუშაოთა მიმდინარეობისას „შემსრულებელი" პასუხს აგებს, „დამკვეთის" წინაშე გამოწვეულ ზიანზე და მასვე ეკისრება აღნიშნული ზიანის გამოსწორების ვალდებულება, შემსრულებელი ასევე მოვალეა ზედმიწევნით დაიცვას სამშენებლო უსაფრთხოების ნორმები და პასუხი აგოს აღნიშნული ნორმების დარღვევით გამოწვეულ ყველა ზიანზე.

4. ხელშეკრულების მოქმედება სამუშაოთა შესრულების ვადა.

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა ავანსის ჩარიცხვიდან ერთი თვე.

4.2 აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის 31 სექტემბრამდე.

4.3 თითოეული მხარე უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ მეორე მხარე არღვევს აღნიშნული ხელშეკრულების პირობებს.

5.ფორს – მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში.

5.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება ის გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

5.3. თუ ზემოთ აღნიშნული გარემოებები გაგრძელდა 3 თვეზე მეტ ხანს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ეს ხელშეკრულება.

6.სხვა პირობები

6.1 მხარეებს შორის წამოჭრილი ურთიერთმოუგვარებელი სადავო საკითხები წყდება საქართველოს საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოებში.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ნებისმიერი დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

6.4 ხელშეკრულებაში გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.

7. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„დამკვეთი"	„შემსრულებელი"
სს "ნენსკრა" ს/კ: 404408565	ა.ა.ი.პ - საქართველოს არქეოლოგიური ასოციაცია საიდ./კოდი: 204466844 საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE27BG0000000275073700
თეიმურაზ კოპაძე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	ვახტანგ ლიჩელი დირექტორი

დანართი 1

არქეოლოგიური კვლევის ხართჯაღრიცხვა
(ნენსკრაჰესი)

1. საველე ანაზღაურება.

თანამშრომელთა რაოდენობა	**დღეების რაოდენობა**	**დღიური ანაზღაურება**	**სულ**
4	20 დღე	15 ლარი	1 200 ლარი
		ქვეჯამი 1	1 200 ლარი

2. ტრანსპორტის ქირა - 1 500 ლარი.
3. ბინის ქირა - 1 000 ლარი.

4. ხელფასი

თანამშრომლები	**დღეების რაოდენობა**	**დღიური ანაზღაურება**	**სულ**
ექსპედიციის ხელმძღვანელი	20	160 ლარი	3 200 ლარი
არქეოლოგი 1	20	100 ლარი	2 000 ლარი
ასისტენტი 1	20	80 ლარი	1 600 ლარი
მუშები 12	20	50 ლარი	12 000 ლარი
მხატვარი - არქიტექტორი 1	20	100 ლარი	2 000 ლარი
			20 800 ლარი
		საშემოსავლო გად.	5 200 ლარი
		ქვეჯამი 2	26 000 ლარი

5. **ქვეჯამი** - 27 200 ლარი
6. **ზედნადები ხარჯი 10%** - 2 072 ლარი
7. **ქვეჯამი 4** – 29 920 ლარი
8. **დღგ 18%** - 5 385,5 ლარი
9. **ჯამი** - 35 305, 5 ლარი

სულ პროექტის ღირებულება შეადგენს **35 305, 5** ლარს.